# გლობალური აღმოსავლეთის ძიებაში: ფიქრი გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის

მარტინ მიულერი
ინგლისურიდან თარგმნეს ნინო მიქაშავიძემ და თამარ გოგიამ

## რეზიუმე

ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს გლობალურ ჩრდილოეთად და გლობალურ სამხრეთად დაყოფა გლობალურ განსხვავებულობაზე ფიქრის აღიარებული სახე გახდა. თუმცა, ეს ბინარულობა უგულებელყოფს იმას, რასაც ეს ნაშრომი გლობალურ აღმოსავლეთს უწოდებს - იმ ქვეყნებსა და საზოგადოებებს, რომლებიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შუალედურ პოზიციას იკავებენ. ეს ნაშრომი წინ სწევს პრობლემას ცოდნის გეოპოლიტიკის შესახებ, რამაც გამოიწვია გლობალური აღმოსავლეთის გამორიცხვა არა მხოლოდ გლობალური ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, არამედ, ზოგადად, გლობალურობის ცნებიდან. ამ ნაშრომში ვამტკიცებ, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სტრატეგიული ესენციალიზმი[1], რათა სამეცნიერო ცოდნისთვის გლობალური აღმოსავლეთი აღვადგინოთ. ამისათვის, ნაშრომი კვალდაკვალ მიყვება IKEA-ს თლილი ჭიქის გლობალურ ურთიერთკავშირებს, რათა გამოააშკარაოს გლობალური აღმოსავლეთის გადააზრების აუცილებლობა გლობალური კავშირების შუაგულში და არა – მათგან განცალკევებით. ფიქრი ასეთ გლობალურ აღმოსავლეთზე, როგორც მოსაზღვრე და გარდამავალ სივრცეზე, ართულებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ცნებების უფრო ინკლუზიურ, მაგრამ, ამავე დროს, უფრო ბუნდოვან თეორეტიზებას.

## შესავალი: აღმოსავლეთის დაკარგვა

ერთი წუთით წარმოიდგინეთ "გლობალური ჩრდილოეთი". უმრავლესობის მსგავსად, თქვენც ჩრდილოეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები გაფიქრდებათ, შესაძლოა - იაპონია და ავსტრალიაც: მდიდარი სახელმწიფოები და დიდი მეტროპოლიური ცენტრები. გლობალური სამხრეთის წარმოდგენისას კი, ლათინური ამერიკა, აფრიკა და აზიის უმეტესი ნაწილი მოგვდის თავში. ის ადგილები, სადაც ადამიანები არ სარგებლობენ ისეთივე

[1] გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკის ცნება, რომელიც მან პირველად გამოიყენა ესსეებში "შეუძლია თუ არა სუბალტერნს ლაპარაკი?" (1988) და "სუბალტერნის კვლევები: ისტორიოგრაფიის დეკონსტრუქცია" (1985). ამ ცნებით ის აღნიშნავს სუბვერსიული მიზნებისათვის ესენციალიზმის პოლიტიკურ და დროებით გამოყენებას იმ ჯგუფების მიერ, რომელთაც თავიანთი ჯგუფის თვითცნობიერების შექმნა ან გაგება სჭირდებათ (მთაგმნელის შენიშვნა).

პრივილეგიით, როგორც ჩრდილოეთში. ამგვარად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამყარო ერთი შეხედვით სრულყოფილი ჩანს, მაგრამ ეს სულაც არა არის ასე. პირიქით, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბინარულობა შავ ხვრელს წარმოქმნის: ყველა ის საზოგადოება, რომელიც სადღაც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის თავსდება, ზედმეტად მდიდარია სამხრეთისთვის და ზედმეტად ღარიბი - ჩრდილოეთში მოსახვედრად. და ეს შავი ხვრელი სულაც არ არის პატარა: იგი მოიცავს იმ საზოგადოებებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ ექსპერიმენტში: კომუნიზმის[2] შექმნაში. ეს "გლობალური აღმოსავლეთი", როგორც მას ამ ნაშრომში მოვიხსენიებთ, მოქცეულია სადღაც გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჩრდილქვეშ, და სრულად არცერთს არ მიეკუთვნება. ეს ნაშრომი სრული სურათის აღდგენის მცდელობაა.

მსოფლიოს დაყოფა მდიდარ, ძლიერ "გლობალურ ჩრდილოეთად" და ღარიბ, ნაკლებად ძლიერ "გლობალურ სამხრეთად" ალბათ ამჟამად ყველაზე გავრცელებული სახეა გლობალურ განსხვავებულობაზე ფიქრისა და მსოფლიოს კატეგორიზებისა. ეს დაყოფა არა მხოლოდ საფუძვლად დაედო აკადემიურ კვლევებს, მრავალ ჟურნალს, არაერთ კვლევით ცენტრსა და ასობით წიგნს, რომელთა სათაურშიც გლობალური სამხრეთი ფიგურირებს, არამედ მეცნიერების, აქტივისტებისა თუ პოლიტიკური დებატების სტანდარტულ ლექსიკაშიც დაიწყო შეჭრა. მაგალითად, კლიმატის ცვლილების შესახებ მსჯელობისას, ჩრდილოეთ-სამხრეთის ამგვარი დაყოფა იქცა თვალში საცემ "მეტსახელად" პოლიტიკური განსხვავებულობის ფორმულირებისათვის გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის თაობაზე. "გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების" მიერ სიღარიბის, როგორც ათასწლეულის გამოწვევის, ხელახლა აღმოჩენამ, ჩრდილოეთ-სამხრეთად დაყოფა კიდევ უფრო მეტად დაამკვიდრა.

დღესდღეობით, გლობალური ჩრდილოეთი და სამხრეთი არა უბრალოდ გეოგრაფიულ მდებარეობას, არამედ, ძირითადად, პოლიტიკურ და ეპისტემოლოგიურ პროექტებს აღნიშნავს: გამიჯნვა დეველოპმენტალიზმის ენისა და ტელეოლოგიური პროგრესისაგან, რაც ათწლეულების განმავლობაში ახასიათებდა გლობალური ჩრდილოეთის დამოკიდებულებას სამხრეთისადმი და ახასიათებს დღესაც; ცოდნის წარმოების ორიენტაციის შეცვლა ჩრდილოეთში დამკვიდრებული უნივერსალიზმისა და ევროცენტრიზმის საპირისპიროდ; ცოდნის პრაქტიკის მრავალფეროვნების ღირებულების გაზრდა, როგორც ეს გლობალურ სამხრეთშია მიღებული; და პოლიტიკური შთაგონება გლობალური პოლიტიკის რეკონფიგურაციისთვის, რათა მარგინალურმა ქვეყნებმაც აიმაღლონ ხმა (Dirlik 2007; Mignolo 2011). გლობალური სამხრეთი, როგორც ასეთი, სუბალტერნის ალაპარაკების პოსტკოლონიური პროექტის არსებითი ნაწილია (Spivak 1988a).

1989- 1992 წწ.-ში კომუნისტური რეჟიმის უმეტესი ნაწილის, ე. წ. მეორე მსოფლიოს, დამხობამ ჩრდილოეთ-სამხრეთის განსხვავება ეჭვქვეშ კი არ დააყენა, არამედ, პირიქით, განამტკიცა და შეინარჩუნა. ფუკუიამასეულ (1992) ისტორიის დასასრულში დაყოფა

[2] ჩვეულებრივ, ვიყენებ "კომუნიზმს", როდესაც იდეოლოგიაზე ვსაუბრობ და "სოციალიზმს", როდესაც სოციო-პოლიტიკურ რეალობას ვეხები.

მდიდრებსა და ღარიბებს და, შესაბამისად, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გრძელდება, ხოლო კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის - ქრება. კომუნისტი "სხვის" გაუჩინარების შედეგად აღმოსავლეთ-დასავლეთის იდეოლოგიური დაყოფაც უკვალოდ გაქრა. 'საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, "მეორე მსოფლიოს" კატეგორიის გამოყენება ნაკლებად სასარგებლო გახდა... ახალი, უფრო გამარტივებული კატეგორიზაციის დრო დადგა. პირველი სამყარო გახდა ჩრდილოეთი, ხოლო მესამე სამყარო - სამხრეთი' (Reuveny and Thompson 2007, 557). მაგრამ, რა ბედი ეწია მეორე სამყაროს?

იმის ნაცვლად, რომ ჩრდილოეთის ან სამხრეთის ბანაკში აღმოჩენილიყო, აღმოსავლეთი ვერცერთ მათგანს ვერ მოერგო. ამ სტატიაში "აღმოსავლეთს" ვიყენებ არა იმდენად როგორც გეოგრაფიული რეგიონის, რამდენადაც როგორც ეპისტემური, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული გარდამავალი სივრცის აღმნიშვნელს. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთს ვაანალიზებ ყოფილი მეორე სამყაროს გამოცდილების საშუალებით, აღმოსავლეთის, როგორც გლობალური აღმოსავლეთის, ცნება მხოლოდ ამ გამოცდილებით არ შემოიფარგლება, არამედ შესაძლოა და, აუცილებელიცაა, მოიცავდეს სხვა გარდამავალ პოზიციაში მყოფ საზოგადოებებსაც. მეორე სამყაროს პოლიტიკური პროექტის - კომუნიზმის - დანგრევამ აღმოსავლეთი გლობალური რუკიდან ამოშალა, 70 წელზე მეტხნიანი კომუნისტური მმართველობის ყველანაირი მახასიათებლები წაიშალა. აღმოსავლეთი მეტად მდიდარია იმისათვის, რომ სამხრეთის სათანადო ნაწილი გახდეს, მაგრამ ძალიან ღარიბი იმისათვის, რომ ჩრდილოეთის ნაწილი იყოს. მეტისმეტად ძლიერია იმისათვის, რომ პერიფერიას წარმოადგენდეს, მაგრამ მეტად სუსტია იმისათვის, რომ ცენტრი გახდეს. ძალაუფლებრივი ურთიერთობები არეულ-დარეულად მუშაობს. აღმოსავლეთი მოიცავს როგორც კოლონიზატორებს, ისე კოლონიებს, აგრესორებსა თუ დაზარალებულებს; ზოგი ქვეყანა ერთდროულად იყო ერთიცა და მეორეც (Tlostanova 2008). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოსავლეთის მოხელთება და მისი კატეგორიზება რთულია.

ნიშნების გლობალურ მიმოქცევაში აღმოსავლეთი ისე ადვილად გარჩევადი არაა, როგორც გლობალური სამხრეთი, სადაც კოლონიალიზმმა შექმნა საზიარო ენები, ინსტიტუციები, ცოდნის სისტემები და სოციალური კავშირები. უგანდა უფრო ადვილად აღსაქმელია მედიისა და სამეცნიერო ცოდნის გლობალურ ცენტრებში, ვიდრე უკრაინა, ჩილე უფრო ნაცნობია, ვიდრე ჩეხეთი, ხოლო ლაოსი უფრო ახლოს არის ვიდრე ლატვია. ვარგას ლიოსას, გარსია მარკესის და კუტზეეს სახელები ნაცნობია ყურისთვის, ხოლო ალექსიევიჩი, მიულერი და შიმბორსკა უცნაურად ჟღერს. ექვსივე მათგანი ნობელის პრემიის ლაურეატია ლიტერატურის დარგში.

ამგვარად, აღმოსავლეთი განიცდის ორმაგ გამორიცხვას. ერთი მხრივ, ის არ განიხილება გლობალური სამხრეთის ნაწილად. ვიჯაი პრაშადის (2013) *"ღარიბი ერების" (The Poorer Nations),* გლობალური სამხრეთის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ისტორიის, გეოგრაფიულ მიმხრობას ამ წიგნის გარეკანიდან იმთავითვე მიხვდებით: ყდაზე გამოსახული გლობალური სამხრეთის რუკა მოიცავს თურქეთს, არგენტინასა და ჩილეს, მაგრამ არ მოიცავს მაგალითად, ყირგიზეთს, მოლდოვას და უკრაინას - არადა თითოეული მათგანი საკმაოდ ღარიბია. გლობალური სამხრეთის შესახებ დაწერილ

ვრცელ ტომეულებში უბრალოდ გამოტოვებულია გლობალური აღმოსავლეთი. *"გლობალური სამხრეთის ყოველდღიური გეოგრაფია" (An Everyday Geography of the Global South)* (Rigg 2007) მოიცავს 90 შემთხვევის ანალიზს 36 ქვეყანიდან, მაგრამ არც ერთს - გლობალურ აღმოსავლეთიდან. *"ცნობარი გლობალური სამხრეთის ქალაქების შესახებ"(The Handbook on Cities in the Global South),* აღიარებს მაინც, რომ წიგნში "ევრაზიის დიდი ნაწილი უგულებელყოფილია" (Parnell and Oldfield 2014, 3). *"გლობალური სამხრეთის ინსტიტუციები" (Institutions of the Global South)* (Braveboy-Wagner 2009) აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმოხილვით შემოიფარგლება. ეს დუმილი კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რადგან მეცნიერთა უმეტესობა დაჟინებით ამტკიცებს, რომ გლობალური სამხრეთის ცნება მოქნილია, მკაცრი საზღვრები არ გააჩნია (Dirlik 2007; Roy and Crane 2015). და მაინც, ეს ცნება არ ჩანს საკმარისად მოქნილი იმისათვის, რომ თავის შემადგენლობაში მეორე სამყაროს ნაწილებიც მოაქციოს.

მეორე მხრივ, აღმოსავლეთი ასევე განცალკევებულია გლობალური ჩრდილოეთისაგან. მსოფლიოს გლობალურ ქალაქებსა და ცენტრებზე, დემოკრატიისა და საბაზრო კაპიტალიზმის ცენტრალურ რეგიონებზე დაწერილ ნაშრომებში აღმოსავლეთი მდუმარე შემსწრეა. შესაძლოა, აღმოსავლეთის ქვეყნები ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზას ადგანან, მაგრამ, ამავე დროს, გაჭედილები არიან ბუნდოვანი მოდერნულობისაკენ მარადიული ტრანზიციის მცდელობაში. ჩრდილოეთ ამერიკული და ევროპული ცივილიზატორული მისიის (*mission civilisatrice)* ობიექტი, აღმოსავლეთი, განისაზღვრება საკუთარი ჩამორჩენილობით, რაც საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის მუდმივი იარლიყი იყო (Kovačević 2008; Neumann 1999; Todorova 1997; Wolff 1994). ის ასრულებდა "სხვის" როლს, რომელთან წინააღმდეგობაშიც დასავლეთ ევროპა დიდი ხნის განმავლობაში ქმნიდა ნარატივს საკუთარი ცივილიზაციისა და წინსვლის შესახებ.

ეს ნაშრომი ცდილობს ცოდნის გლობალურ გეოპოლიტიკაში ერთი ნაბიჯის გადადგმას წინ – ცოდნის წარმოების რუკაზე აღმოსავლეთის დაბრუნებისაკენ. ამის მიღწევას სტატია ცდილობს მისი, როგორც გლობალური აღმოსავლეთის, აღქმით, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებულია, თუმცაღა დაკავშირებულია მასთან; ჩრდილოეთისა და სამხრეთის თანასწორია და არა - მათზე ქვემდგომი. ეს მნიშვნელოვანი ეპისტემური სვლაა არამხოლოდ გლობალურ აღმოსავლეთში მცხოვრები ადამიანებისთვის, მათი გამოცდილების თვითმყოფადობისა და დაკავშირებულობის დაფასებისათვის, არამედ გლობალური აღმოსავლეთის შემსწავლელი მეცნიერებისთვისაც, რომელთაც ხშირად არ იციან როგორ მოიქცნენ, როგორ მოახდინონ ამ საკითხის პოზიციონირება გლობალურ სამეცნიერო ცოდნაში, რომელიც მსოფლიოს ჩრდილოეთად და სამხრეთად ყოფს.

ეს კიდევ უფრო გადამწყვეტი ნაბიჯია თეორეტიზებისას. ევროპისა და ამერიკის ფარგლებს გარეთ თეორეტიზების ხანაში (Bhabha 1994; Chakrabarty 2007; Mbembe 2000) კარგი და მით უმეტეს გლობალური თეორეტიზება შეუძლებელია იმ სოციალური რეალობის მრავალფეროვნების, ურთიერთკავშირის გაგებისა და სიღრმისეული დაფასების გარეშე, რომელზეც ამგვარი თეორეტიზება თითქოსდა უნდა მიუთითებდეს. გლობალურ აღმოსავლეთზე ფიქრი შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს გლობალური ჩრდილოეთისა

და გლობალური სამხრეთისთვისაც, რადგან გლობალური აღმოსავლეთის სერიოზულად აღქმა შეუძლებელია იმ დიქოტომიების - მდიდარისა და ღარიბის, ძლიერისა და უძლურის - უცილობლივ მორღვევის გარეშე, რომლებთანაც უკვე ზედმეტად კომფორტულად ვგრძნობთ თავს. გლობალური აღმოსავლეთის აღდგენა ნიშნავს ფიქრს ჩრდილოეთისა და სამხრეთის შუალედური სივრციდან; ამ ნაპრალიდან ფიქრს - არა მხოლოდ აღმოსავლეთისთვის, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთისთვისაც.

ეს სტატია ცდილობს ოთხმხრივი სვლის საშუალებით შექმნას გარემო პირობები გლობალური აღმოსავლეთის გააზრებისათვის. პირველ რიგში, ის აანალიზებს "*აღმოსავლურობას*" (*'Eastness'*), როგორც დილემას, რასაც განაპირობებს არა იმდენად ჩრდილოეთისა და სამხრეთის განაპირას ყოფნა, რამდენადაც მათ შორის არსებულ შუალედურ სივრცეში არსებობა. ამრიგად, სტატია გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე მეტად უსვამს ხაზს "აღმოსავლურობის" შუალედურ, გარდამავალ მდგომარეობას - არც მთლად ჩრდილოეთით, არც მთლად სამხრეთით. სწორედ ამ შუალედურობის გამო ვაწყდებით უცოდინრობას როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. მეორეც, სტატია ცხადყოფს, თუ როგორ დარჩა აღმოსავლეთი შეუცნობელი, რამდენადაც ის დასავლური ცოდნის არქიტექტურის ქსელებსა და არხებს მიღმა აღმოჩნდა. მესამეც, ამტკიცებს აღმოსავლეთის სტრატეგიული ესენციალიზმის აუცილებლობას, რაც ხაზს უსვამს ერთიანობას აღმოსავლეთის შუალედური პოზიციის განსხვავებულობასთან დაკავშირებით და ცდილობს აღადგინოს აღმოსავლეთი, როგორც პოლიტიკური პროექტი. და ბოლოს, გვიჩვენებს, თუ როგორ არის (და მართლაც უნდა იყოს) აღმოსავლეთი გლობალური, მისი წარმოდგენით გლობალური ურთიერთობების შუაგულში, და არა მათგან მოწყვეტით. ამით კი, ადასტურებს გლობალური აღმოსავლეთის ღიაობას, მიუხედავად მისი გამოცალკევების შიდა და გარე მცდელობებისა.

**აღმოსავლურობის დილემა: არც მთლად ჩრდილოეთი, არც მთლად სამხრეთი**

როდესაც გლობალურ აღმოსავლეთზე ჩემს სტუდენტებს ვესაუბრები, მათ უკვირთ, თუ რატომ მაინტერესებს ესეთი მოსაწყენი ადგილი. ბრაზილია სექსუალურია, კენია მაგარია, ჩინეთი დინამიურია, აღმოსავლეთი კი მოსაწყენია. როცა გავიგე, რომ ამ ფიქრებში მარტო არ ვარ, ერთდროულად ნირმწახდარიც ვიყავი და თან შვებაც ვიგრძენი. აღმოსავლეთის ლიტერატურული სპეციფიკის მიმოხილვისას მიკანოვსკი (2017, n.p.) აღნიშნავს: "მე ვიცნობ რეგიონში ცნობილ მეცნიერს, ისტორიკოსს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაზე რეგულარულ კურსს კითხულობს, რომელმაც მითხრა, რომ ყოველ წელს უწევს პასუხის გაცემა სტუდენტების კითხვებზე, ამ "ნაცრისფერ ადგილას" მცხოვრებ ადამიანებს მართლა შეუძლიათ შეყვარება და სიცილი, თუ - არა. ალბათ მირჩევნია, "ბნელი კონტინენტის" შესახებ ვასწავლიდე სტუდენტებს, და "ფილანთროპების" სიმპათია მაინც დავიმსახურო, ვიდრე - "ნაცრისფერი ადგილის" შესახებ, რომელიც არანაირ ემოციას არ იწვევს - მსოფლიოს ტერა

ინკოგნიტაა, სადაც მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო და მოლვანია[3] ერთ ამორფულ მასას ქმნიან.

აღმოსავლეთის დილემა ორმაგ გამორიცხვას აღნიშნავს: ერთი მხრივ, ტიტულოვანი, გლობალური ჩრდილოეთიდან და, მეორე მხრივ, მარგინალიზებული გლობალური სამხრეთიდან. მაგრამ ეს არ არის წმინდა "სხვადყოფნა" (Otherness). ეს უფრო "ნახევრად სხვაობაა" (Tlostanova 2017), ნახევრად ორიენტალიზმია (Wolff 1994). აღმოსავლეთი განსხვავებულია, მაგრამ თან მსგავსია; "სხვაა", მაგრამ არა სრულიად. იმდენად წარმოადგენს განუსაზღვრელობის "ნაცრისფერ ზონას" (Knudsen and Frederiksen 2015), რამდენადაც ნაცრისფერი ადგილია. ხშირად, "ევროპის" ნიღაბს ამოფარებული გლობალური ჩრდიელოეთი ასრულებს ტელეოლოგიური ჰორიზონტის ფუნქციას, რომელთან დაპირისპირებაშიც აღმოსავლეთი მთლად ჩრდილოეთი ვერ არის. შეიძლება ქვეყნები ევროკავშირს შეუერთდნენ, მაგრამ ბრიუსელის ძალაუფლების კაბინეტებში ევროკრატების ჰაბიტუსებს შორის ოდნავ შესამჩნევი განსხვავება კვლავაც ასახავს სხვაობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (Kuus 2014), ისევე, როგორც კვლავ არსებობს რასიზმი, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპელი იმიგრანტები დასავლეთ ევროპაში განიცდიან (Nowicka 2017). შესაძლოა, ხალხი იყენებს ევროპული მოხმარების საგნებს, როგორიცაა ფართოდ გავრცელებული *ევრორემონტი* (Sgibnev 2015), მაგრამ სრულიად ევროპელები მაინც ვერ ხდებიან. ეს "აღმოსავლურობა", როგორც მას ზოგიერთი მეცნიერი უწოდებს, საუკუნეების მანძილზე თუ არა, ათეულობით წლებია, აღმოსავლეთის იარლიყია (Kuus 2007; Zarycki 2014) ევროკავშირში მიღების, მრავალწლიანი ეკონომიკური ზრდის, ფართოდ გავრცელებული პრივატიზაციისა და დემოკრატიზაციის მიუხედავად.

ამ მხრივ, აღმოსავლეთს ბევრი საერთო აქვს "ისტორიის მოსაცდელში ყოფნის" პოსტოკოლონიურ მდგომარეობასთან (Chakrabarty 2007, 8): სწრაფვა მოდერნულობისკენ, რომელშიც მას მონაწილეობის მიღება შეეძლება მხოლოდ ევროპის ნება-სურვილისა და კეთილგანწყობის შემთხვევაში. ევროპისა, რომელიც "ველურ აღმოსავლეთში" ავრცელებს თავის *ცივილიზატორულ მისიას (mission civilisatrice)* და ყველაფერს, რაც მას თან ახლავს (Gille 2016; Horvat and Štiks 2012; Melegh 2006). რადგან, თუ აღმოსავლეთი ოდესმე მიაღწევს ევროპამდე, ფანონის (2008, 91) ცნობილი ფრაზა რომ გავიხსენოთ, "ყველაფერი [უკვე] წინასწარ განსაზღვრული, გათვალისწინებული, დამტკიცებული და გამოყენებულია".[4] ანუ ის, რაც აღმოსავლეთს აერთიანებს არც პოლიტიკური ერთობაა, არც საერთო ეკონომიკური კავშირები ან კულტურული ტრადიციები (Hann et al. 2016), აწ უკვე აღარც სოციალიზმის საერთო გამოცდილება (Müller 2019), არამედ ეს არის თანადროული მსგავსებისა და განსხვავებულობის საზიარო შეგრძნება ამორფულ ევროპასთან.

---

[3] მოლვანია - გამოგონილი ქვეყანა, აღწერილი პაროდიულ გზამკვლევში, რომელიც აღმოსავლეთის შესახებ არსებულ დასავლურ სტერეოტიპებს აშარჟებს (Cilauro, Gleisner and Sitch 2004). ასევე, იხილეთ, მალკოლმ ბრედბერის მიერ გამოგონილი აღმოსავლეთ ევროპული ქალაქი სლაკა (Bradbury 1986).

[4] ფრანგულად უფრო ლაკონიურია, ვიდრე თარგმანში: 'tout est prévu, trouvé, prouvé, exploité' (Fanon 1952, 97).

ამასთანავე, უფრო პოლიტეკონომიკური განხრით, აღმოსავლეთის წაკითხვა შესაძლებელია იმანუელ უოლერსტაინის (1979) სამშრიანი "მსოფლიო სისტემების თეორიის"[5] მეშვეობით. მაგრამ ამ შემთხვევაში სურათი ოდნავ უფრო არეული ხდება. თუ უოლერსტინისთვის (1976) სოციალისტური ქვეყნები ნახევრად პერიფერიას მიეკუთვნებოდნენ, სოციალისტური ფიასკოს შემდეგ ეს სურათი იცვლება. თუ ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ნამდვილად პერიფერიად ითვლება, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკურად უფრო და უფრო უახლოვდება ცენტრს. ყოველ შემთხვევაში, ესეთია იმ მკვლევართა დაკვირვებები, რომელთაც უოლერსტინის კატეგორიების გამოეყენება სცადეს დღეს (Babones and Babcicky 2011; Bradshaw 2001; Knox, Agnew and McCarthy 2014, 22). ის სახელმწიფოები, რომლებიც ინარჩუნებენ ნახევრად პერიფერიის სტატუსს, მაგალითად, რუსეთი და რუმინეთი, ამ საკმაოდ ჰეტეროგენულ კატეგორიას იზიარებენ სხვა სახელმწიფოებთან, როგორებიცაა საბერძნეთი, ჩილე, ბოტსვანა და ვიეტნამი. შესაბამისად, მსოფლიო სისტემების ანალიზი წარმოადგენს აღმოსავლეთის დანაწევრებულ სურათს, რომლის ნაწილი ჩრდილოეთს მიეკუთვნება, ნაწილი - სამხრეთს, ხოლო ნაწილი - შუაშია გამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთი, როგორც დასავლეთის "ნახევრად სხვა", სამხრეთის პოსტკოლონიური მდგომარეობის მსგავსია, ის მაინც არ არის გათვალისწინებული სამხრეთის ემანსიპატორულ ბრძოლაში. რამდენადაც, ის არც მთლად ჩრდილოეთია და არც - მთლად სამხრეთი. დეკოლონიური ცოდნისა და სამხრეთიდან თეორეტიზების მცდელობებში აღმოსავლეთი ნახსენები არაა: ის არც ლათინურ ამერიკასთან, არც აზიასა და აფრიკასთან არ არის გაერთიანებული. არა, ის უბრალოდ არ არის ამ პროექტის ნაწილი. ამან დიდად არც უნდა გაგვაკვირვოს, თუ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სტანდარტულ განმარტებას გავითვალისწინებთ:

> ჩრდილოეთ-სამხრეთის ამგვარი დაყოფა, ზოგადად, სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაყოფად ითვლება. როგორც წესი, გლობალურ ჩრდილოეთად განისაზღვრება შეერთებული შტატები, კანადა, ევროპის განვითარებული ნაწილები და აღმოსავლეთ აზია. გლობალური სამხრეთი კი მოიცავს აფრიკას, ლათინურ

---

[5] უოლერსტაინი გვთავაზობს სტრატიფიკაციის სამშრიან სტრუქტურას - ცენტრი, პერიფერია და ნახევრად პერიფერია - რაც ორი სახის ეკონომიკური პროცესითაა განაპირობებული: ცენტრის პროცესებია მაღალი ხელფასები, განვითარებული ტექნოლოგიები და დივერსიფიცირებული წარმოების ნაზავი; პერიფერიის პროცესები კი, დაბალ ხელფასები, განუვითარებელ ტექნოლოგიები და მარტივი წარმოების ნაზავია. უოლერსტინის ნახევრად პერიფერიის შუალედური კატეგორია ამ ორის ეკონომიკურ ნაზავს კი არ წარმოადგენს, არამედ უმთავრესად, პოლიტიკური ფუნქცია აქვს: ის სტაბილურობას უზრუნველყოფს ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული პოლარიზაციის შერბილებით. "შესაძლოა დაამტკიცოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკა, როგორც ეკონომიკა ისევ მშვენივრად გააგრძელებდა ფუნქციონირებას ნახევრად პერიფერიის გარეშე, მაგრამ სინამდვილეში, *პოლიტიკურად* გაცილებით უფრო არასტაბილური იქნებოდა" (Wallerstein 1979, 23). უოლერსტინის მიხედვით (69), ნახევრად პერიფერიის ქვეყნების ორი მახასიათებელია პროტექციონისტული პოლიტიკა (საშინაო ბაზარი საშინაო პროდუქტებისთვის) და ეკონომიკური გადაწყვეტილებების პოლიტიზაცია.

ამერიკასა და განვითარებად აზიას, ახლო აღმოსავლეთის ჩათვლით (ნაწყვეტი ვიკიპედიიდან, ციტატა მოყვანილი აქვს მინიოლოს: Mignolo 2014a, n.p.).

ეს განმარტება გარს უვლის გლობალურ აღმოსავლეთს, ისევე, როგორც - თეორეტიზების მცდელობები სამხრეთიდან. რეივინ კონელის (2007) ფუძემდებლური "სამხრეთული თეორია" სამხრეთის ადგილმდებარეობაში მოიცავს აფრიკას, ლათინურ ამერიკას, ინდოეთსა და ირანს (ზუსტად იმ რეგიონებს, რომლებიც ზემოთ მოყვანილ განმარტებაშია ნახსენები). ჯინ და ჯონ კომაროფის (2011) "თეორია სამხრეთიდან" განიხილავს აფრიკას, ხოლო ანანია როის (2009) "თეორიის ახალი გეოგრაფია" - ინდოეთს.

გლობალური სამხრეთის პროექტში აღმოსავლეთის უგულებელყოფა თვალში საცემია, თუმცა ალბათ გასაკვირი არ არის. ეს კვლავ უკავშირდება მის შუალედურ სტატუსს - სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. კომაროფი და კომაროფი (2011, 46) საგონებელში არიან: "რომელ მხარეს მიეკუთვნებიან [ჩრდილოეთის თუ სამხრეთის], მაგალითად, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები?" აღმოსავლეთის საზოგადოებები, როგორც ყოფილი მეორე მსოფლიო, არ იკრიბებოდნენ ისეთ ადგილებში, როგორიცა ბანდუნგის კონფერენციაა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მესამე გზის დასასახად. როდესაც 1989-1992 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად, სოციალისტური ბანაკი დაიშალა, აღმოსავლეთი - კაპიტალიზმზე გადასვლის წყალობით - ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ჩრდილოეთთან აპირებდა შეერთებას. მიუხედავად ამისა, დაშლიდან 25 წელზე მეტი გავიდა, ეს ტრანზიცია კვლავ დაუსრულებელია, როგორც ჩრდილოეთის სიმდიდრის დონის მიღწევის, ისე საბაზრო კაპიტალიზმის ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით. საბოლოოდ, აღმოსავლეთში სოციალისტური მემკვიდრეობის, ნეოლიბერალური კაპიტალიზმისა და არაფორმალური თუ პატრიმონიული პრაქტიკის ჰიბრიდი აღმოცენდა.

კოლონიალიზმმა თავისი დაღი დაასვა აღმოსავლეთს, თუმცა - სამხრეთისგან განსხვავებული. შესაძლოა, სამხრეთის ყველაზე გამორჩეული თვისება (Dirlik 2007), (თეორეტიზებისთვის მისი მნიშვნელოვნების თვალსაზრისითაც), კოლონიალიზმი, აღმოსავლეთში არაპირდაპირი გზით ვითარდება. აღმოსავლეთის ბევრმა ნაწილმა ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთის იმპერიებისა და საბჭოთა კავშირის კოლონიზაციის თანმიმდევრული ტალღები გამოიარა, დომინაციის საკმაოდ განსხვავებული სისტემებით. 1990-იან წლებში დასავლური საბაზრო რეფორმების ვალდებულების დაკისრებამ (Boycko, Shleifer და Vishny 1995) დომინაციის უკვე არსებულ ფორმებს კიდევ ერთი ახალი სახე შემატა.

თუ კოლონიზებული კოლონიზატორთან მიმართებაში განისაზღვრება (Fanon 1952), მაშინ აღმოსავლეთს მრავალი იდენტობა აქვს. ზოგიერთი ქვეყანა წარმოადგენდა როგორც კოლონიზატორს, ისე კოლონიას. მადინა ტლოსტანოვა (2008, 2011) რუსეთის შემთხვევაში პრობლემას ამ შუალედურ პოზიციაში ხედავს. რუსეთი ორმაგ როლშია - კოლონიური იმპერიის (როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ასევე, მისი დაშლის შემდეგ) და სუბალტერნული სხვის (ევროპასთან მიმართებით); რუსეთი, როგორც მას ტლოსტანოვა

უწოდებს, სუბალტერნული იმპერიაა. აღმოსავლეთი, როგორც ასეთი, უშნოდ არის გამოჩხერილი სამხრეთის მეტად პოსტკოლონიურ საზოგადოებებისა და ჩრდილოეთის ძალაუფლების ცენტრებს შორის. აღმოსავლეთში კოლონიზატორი/კოლონიზებულის ურთიერთობას სწორედ ეს აქცევს მრავალშრიან დამოკიდებულად, რომელშიც მკაფიოდ გამოკვეთილი მეტროპოლია არ არსებობს. თუ ბულგარელი ხარ, რომელია შენთვის მეტროპოლია: სტამბოლი, მოსკოვი, ბრიუსელი თუ ნიუ-იორკი?

და ბოლოს, სამხრეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთში ხალხმა ვერ აღმოაჩინა თანაგრძნობის ანდა გლობალური აქტივიზმის საბაბი ან ნეოლიბერალიზმის, გარემოს განადგურების, ძალაუფლებრივი პოლიტიკის და ყოვლისმომცველი ნაციონალიზმის ალტერნატივის წყარო. აღმოსავლეთს, რონალდ რეიგანის "ბოროტების იმპერიის" ყოფილ ცენტრს, არ გააჩნია სუბალტერნისა და ჩაგრულთა მორალური უპირატესობა, რაც გლობალურ სამხრეთს ამოძრავებს; აღმოსავლეთს ეს არ გააჩნია, მიუხედავად ევრომაიდნისა, ვარდების, ტიტებისა თუ ნარინჯისფერი რევოლუციისა. თითქოს, აღმოსავლეთში არ ცხოვრობენ ბედკრულნი ამა ქვეყნისა, რომლებიც თვითგამორკვევისა და ემანსპიაციისთვის იბრძვიან. გლობალურ აღმოსავლეთში მცხოვრები ბევრი თეთრკანიანია ერთდროულად როგორც რასიზმში დამნაშავე, ისე მისი მსხვერპლი, ამასთანავე, მსხვერპლი ისეთი რასიზმისა, როგორსაც, მაგალითად, პოლონელი ემიგრანტები განიცდიან ბრიტანეთში (Nowicka 2017). "1989 წლის შემდეგ რუსები და აღმოსავლეთ ევროპელები ახალი გლობალური სამყაროს მოთეთრო შავკანიანები გახდნენ - თითქოს, ისევე გამოიყურებიან და იქცევიან, მაგრამ მაინც არსებითად სხვებად რჩებიან" (Tlostanova 2017, 8). კეტრინ ვერდერიმ (2002, 20) ეფექტურად ჩამოაყალიბა საკუთარი აზრი, როდესაც დაწერა, რომ გაურკვეველია ვინ იქნებოდა პოსტ-სოციალისტური აღმოსავლეთის ფრანც ფანონი. რთული კითხვაა, რომელსაც მე ასე ვუპასუხებდი: შეუძლებელია არსებობდეს აღმოსავლეთის ფრანც ფანონი. ბოლოს და ბოლოს, ვისთვის უნდა მიემართა ანდა რა უფლებით?

ასე რომ, აღმოსავლეთი არის ქვემდგომი, თუმცა - არასაკმარისად. ის ერთგვარი სუბალტერნია, თუმცა მთლადაც - არა. ის არ არის მდიდარი, თუმცა - არც ღარიბი. მას გააჩნია ევროპული მოდერნულობის ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ აკლია სხვები: მეტად განსხვავებულია იმისათვის, რომ ჩრდილოეთის ნაწილი გახდეს, და ძალიან ევროპულია იმისათვის, რომ სამხრეთში შევიდეს. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის საზოგადოებების უმეტესობა ამ შუალედურ მდგომარეობაშია - არც მთლად ჩრდილოეთია და არც მთლად სამხრეთი. შესაძლოა, ისინი ევროკავშირის წევრებიც იყვნენ, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები, მაგრამ ამ კლუბში მაინც ვერ ეწერებიან. უბრალოდ დაფიქრდით პოლონეთზე. ან პირიქით, ღარიბ ქვეყნებზე, ყოფილ კოლონიებზე, მაგალითად, ტაჯიკეთზე ან რუსულ კავკასიაზე - ისინი მაინც არ ითვლებიან სამხრეთის ნაწილებად. ისინი, საუკეთესო შემთხვევაში, "მეორეხარისხოვან სამხრეთს" წარმოადგენენ (Tlostanova 2011). გლობალური აღმოსავლეთის სამხრეთსა (როგორიცაა საბჭოთა რუსეთის კოლონიები) და გლობალურ სამხრეთს შორის დიალოგის მცდელობები კი მეტად იშვიათია (Chari and Verdery 2009; Karkov 2015; Tlostanova 2011, 2015b).

სწორედ ეს გარდამავლობა განაპირობებს იმას, რომ გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის დებატები გვერდს უვლის აღმოსავლეთს: არა ჯიბრის გამო, არამედ იმიტომ, რომ აღმოსავლეთი უბრალოდ არ ერგება იმ ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც გლობალურზე ვფიქრობთ. ამგვარად, ეს შუალედურობა არ აქცევს აღმოსავლეთს ჰომი ბჰაბჰასეულ (1994) ნაყოფიერ მესამე სივრცედ, კულტურებსა და მნიშვნელობებს შორის არსებულ სავაჭრო ზონად. პირიქით, აღმოსავლეთი თითქოს გაჭედილია სტაგნაციაში, დანარჩენმა სამყარომ კი გზა გააგრძელა გლობალური კავშირებისა და შესაძლებლობების ქსელში მოსაქცევად. მიკანოვსკი წერს:

> ხშირად აღმოვჩენილვარ აღმოსავლეთ ევროპის მიკარგულ ადგილებში, ოდერ-ტრიესტის ხაზის შორეულ დასავლეთში. ეს დამმართნია მაგისტრალების გადასასვლელ ხიდებზე, DMV-ის [ავტომობილების განყოფილება შეერთებულ შტატებში] რიგში და მივიწყებული ავტოსადგურების მოსაცდელ ოთახებში. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პრუსტის მომენტი აბსოლუტურად მცდარი კონსტრუქტია, ლიტერატურული შედარება, მაგრამ წყეულიც ვიყო, ბერკლის ფიზიკის ერთ-ერთი ლაბორატორიის სარდაფის ტუალეტში მიმხმარი ჭუჭყის სუნის შეგრძნებამ დაუყოვნებლივ გადამიყვანა ბებიაჩემის ვარშავის კორპუსის კიბის ღიობში, სადაც აშმორებული შარდის, მიმხმარი ჭუჭყისა და იატაკის მონარეცხი, დაძველებული, საპნით გაუზავებელი წყლის სუნის ნაზავი იდგა ხოლმე (Mikanowski 2017).

აქ მიკანოვსკი აღწერს აღმოსავლურობას, როგორც მიტოვებულობის, სამყაროსგან გათიშულობის განცდას. მაგისტრალების გადასასვლელი ხიდები, მიტოვებული ავტოსადგურების მოსაცდელები, სარდაფები - გლობალურობა სადღაც სხვაგან ხდება. თითქოს, აღმოსავლურობა დროსა და სივრციდან ამოვარდნილი, ინერტული მდგომარეობაა.

დროში გაჭედილობის ეს მდგომარეობა იმაშიც ვლინდება, თუ როგორ ვიხსენიებთ დღევანდელი აღმოსავლეთის გეოგრაფიულ არეალს, ყოველთვის წარსულზე მივუთითებთ - პოსტსოციალისტური, ყოფილი საბჭოთა კავშირის, ყოფილი სსრკ, ძველი აღმოსავლეთის ბლოკი, ყოფილი მეორე მსოფლიო - თითქოს, 30 წლის გასვლის შემდეგაც კომუნისტურ აღმოსავლეთს ჯერ ვერ უპოვნია საკუთარი გზა აწმყოში. ბესტსელერები, როგორებიცაა ალექსიევიჩის ნობელის პრემიის მფლობელი "სექენდ ჰენდის დრო" ან ორლანდო ფაიჯესის "უბრალოდ, შენი ამბავი მაცნობე", საბჭოთა გამოცდილებას იხსენებენ. ბესტსელერები ახალადნელი მოვლენების შესახებ სავარაუდო ცივ ომს ეხება. აღმოსავლეთის შესახებ ერთ-ერთი მთავარი აკადემიური ჟურნალი საკუთარ თავს ასე აღწერს: "ვკონცენტრირდებით *ყოფილი "კომუნისტური ბლოკის"* ქვეყნების ისტორიასა და მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე" (Europe-Asia Studies 2018).

აღმოსავლეთი, რომელიც ვერც ჩრდილოეთში მოხვდა და ვერც სამხრეთში, გაჭედილია სტაგნაციაში და საერთოდ გაქრა "გლობალურიდან". გლობალურ ურბანიზმზე, გლობალურ ბიზნესსა თუ გლობალურ მობილობაზე დებატებში შეეცადეთ და იპოვეთ მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლეთისთვის. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ აღმოსავლეთს იშვიათად

ახსენებენ, თუმცა ხშირად ესეც მართალია. მეტწილად, საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთი გლობალური კავშირების ნაწილად არ განიხილება (Rogers 2010). იგი არ იღებს მონაწილეობს "გლობალურში" - წარმოდგენების და იდეების, ხალხისა და პოლიტიკის გლობალურ მსვლელობაში. თუ "აღმოსავლეთი" არსებობს, ის არ იმსახურებს განსაზღვრებას "გლობალური". ისიც მისატევებელია, ვინმეს თუ სჯერა, თითქოს რკინის ფარდა არასდროს ჩამოშვებულა.

## დასავლური ცოდნის არქიტექტურის მიღმა

მაგრამ რკინის ფარდა გაქრა. აღმოსავლეთის გარდაუვალი ხელახალი გადაწერა არა მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბინარულობის მოსაშლელადაა მომწიფებული. აკადემიურ დებატებში აღმოსავლეთისთვის ხმის მიცემის მოთხოვნას შეუძლია დაუპირისპირდეს ან, სულ მცირე, ეჭვი შეიტანოს, ცოდნის წარმოების დომინანტურ კულტურულ სქემაში (Buchowski 2004; Timár 2004)[6] და აღმოსავლეთის თვითიზოლაციის პარალელურ მცდელობებში (Funk 2017). მას შეუძლია, გადაამუშაოს ჰემისფერული „ცოდნის გეოპოლიტიკა" (Mignolo 2002), რომელიც სულ უფრო მეტად ორგანიზდება ჩრდილოეთად და სამხრეთად.

აღმოსავლეთის აღდგენის პოლიტიკური სტიმულის ნაწილია იმ დიდი მრავალფეროვნების დაბრუნება, რომელიც ხშირად გამოტოვებული ან ერთფეროვანია, ნაცრისფერი ადგილის კარიკატურამდეა დაყვანილი. მრავალფეროვნება, რომელიც არ არის მხოლოდ ეთნიკური (თუმცა ასეთიც არის), არამედ პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკურია. ეს კი ეწინააღმდეგება გამაერთგვაროვნებელ "მეტსახელს" - "ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკი" - რაც დღემდე ახალი ამბების კომენტატორების რჩეულად რჩება. ევროპული რეფორმების პოლიტიკის სამაგალითო ნიმუშით, ესტონეთით, დაწყებული, ბელორუსიის დიქტატურის გავლით, ყაზახეთის გლობალური ამბიციებით დამთავრებული. ყოფილი იმპერიული ბირთვით, რუსეთით, დაწყებული, კონფლიქტებით დაზარალებული უკრაინის გავლით, სლოვენიის ცენტრიდანული პერიფერიებით დამთავრებული. ამ მრავალფეროვნების და ადამიანთა ცხოვრებაზე მისი გავლენის ყველაზე უკეთ გადმოცემა ალბათ ამ ანეკდოტითაა შესაძლებელი ერთ მოხუც კაცზე, რომელიც ამბობს, რომ დაიბადა ავსტრო-უნგრეთში, სკოლა ჩეხოსლოვაკიაში დაამთავრა, დაქორწინდა უნგრეთში, ცხოვრების უმეტესი ნაწილი საბჭოთა კავშირში გაატარა და პენსიაზე გავიდა უკრაინაში. "ანუ, ბევრს მოგზაურობდით?" - ეკითხება ინტერვიუერი. "არა, მე არასოდეს დამიტოვებია მუკაჩევო".

---

[6] პოსტ-სოციალიზმის პერსპექტივა, აღმოსავლეთის გაგების მცდელობა სოციალისტური კრახის შემდეგ (მაგ. Hann 2001), წარმოადგენდა პროდუქტს იმ სქემებისა, რომლებიც ანგლო-ამერიკულ სამცნიერო ცოდნაში იყო ჩანერგილი. აღმოსავლელმა მეცნიერებმა ის გააკრიტიკეს, რადგან მიიჩნიეს „მაორიენტალიზებელ კონცეფციად, რომლის მეშვეობითაც დასავლელმა ანთროპოლოგებმა პოსტკომუნისტური ევროპა ააგეს " (Červinková 2012, 159).

აქ მთავარი საკითხი ისაა, რომ აღმოსავლეთი ადვილად არ ჯდება ცოდნის არსებულ არქიტექტურაში, მეტწილად ინგლისურენოვან სამყაროში (Tlostanova 2015a). ინგლისური ისე შორს ვერ მოგზაურობს, როგორც "ლინგვა ფრანკა", დასავლურ კოლონიალიზმს აქ არ დაუარსებია საზიარო ინსტიტუტები, არ დაუმყარებია ოჯახური კავშირები და რკინის ფარდის შედეგები, რომლებიც სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ართულებდა, ჯერ კიდევ იგრძნობა. ემიგრანტი ინტელექტუალები და მეცნიერები გლობალური სამხრეთიდან - სტიუარტ ჰოლი, გაიატრი სპივაკი, ედუარდ საიდი, აშილ მბემბე, ემე სეზერი - ხშირად ხვდებოდნენ ბრიტანეთში, საფრანგეთში ან შეერთებულ შტატებში არსებულ კოლონიურ ცენტრებში და ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი ცოდნის წარმოების მდინარებაში ერთვებოდნენ. თუკი, აღმოსავლელი მეცნიერები მოსკოვში, საბჭოთა იმპერიის ცენტრში, მიემგზავრებოდნენ (და ამას ხშირად აკეთებდნენ), ისინი ესაუბრებოდნენ შედარებით მცირე აუდიტორიას, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მზარდი ენობრივი იზოლაციისა და კლებადი გლობალური წვდომის წინაშე აღმოჩნდნენ. აღმოსავლელი ინტელექტუალების რჩეული უცხო ენები იყო ფრანგული და გერმანული და არა - ინგლისური, საბაზრო კაპიტალიზმის ენა. ამან განაპირობა აღმოსავლეთის შესახებ წარმოებული და აღმოსავლეთიდან მომავალი ცოდნის მდინარების ტრაექტორია. ბედის ირონიით, ბრიტანეთის და საფრანგეთის კოლონიალიზმს მიღმა დარჩენამ აღმოსავლეთს შეუზღუდა შესაძლებლობა, მისი ხმა სხვებსაც გაეგოთ.

გლობალურ დებატებში აღმოსავლური ხმების არარსებობა იმ დინამიურმა დარტყმამაც განაპირობა, რომელიც სოციალიზმის დანგრევამ მიაყენა სამეცნიერო ცოდნას აღმოსავლეთში. ამ დარტყმის გავლენა დღემდე იგრძნობა. არა მხოლოდ დაფინანსება გაქრა ერთ ღამეში, არამედ აკადემიკოსები აღმოჩნდნენ სიტუაციაში, რომელშიც თავად იდეა იმის შესახებ, თუ რა არის კარგი მეცნიერი, რადიკალურად შეიცვალა. ბევრმა დატოვა აკადემია და საკუთარი ქვეყანა, რათა გადარჩენილიყო და მათ, ვინც დარჩა, მოუწიათ (ზოგჯერ ახლაც უწევთ) პარალელური სამსახურის შოვნა, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგში მოღვაწე მეცნიერებს, რომელთა სამუშაოც ნაკლები პრაქტიკული ღირებულების მქონედ მიიჩნეოდა. აკადემიური საქმიანობა ვეღარ გთავაზობდა პერსპექტიულ მომავალსა და რეალური შემოსავლის წყაროს, ამიტომაც თითო-ოროლა ახალგაზრდა მეცნიერს თუ შეეძლო 1990-იან და 2000-იან წლებში აკადემიური მოღვაწეობის გაგრძელება და გლობალურ დებატებზე გავლენის მოხდენა. ამის ნაცვლად, ისინი სასწავლებლად და სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდნენ (Ushkalov and Malakha 2010). ამ ყველაფრის ფონზე გასაკვირი არ არის, რომ "პუბლიკაციაზე შეზღუდვების მოხსნამ და, ზოგადად, სოციალურმა გარდაქმნებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არ გამოიწვია კომუნისტური და პოსტკომუნისტური რეალობის ახალი ადგილობრივი ანალიზის მოზღვავება" (Outhwaite and Ray 2005, 12). ან კი როგორ გამოიწვევდა? სოციალისტური მარცხის გამო კვლევით საქმიანობას აღმოსავლეთში ძირი გამოეთხარა და მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია, რაც ვითარება შეიცვალა.

## აღმოსავლეთის სტრატეგიული ესენციალიზმისკენ

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აღმოსავლეთისთვის ხმის დაბრუნების პოლიტიკური პროექტი. ამავდროულად, უნდა შევინარჩუნოთ ტერმინი „აღმოსავლეთი“ და არ მოვერიდოთ ჩამორჩენილობისა თუ სხვადყოფნის მის ძველ კონოტაციებთან დაპირისპირებას. ისეთი ტერმინები, როგორებიცაა “ახალი ევროპა” ან “ცენტრალური ევროპა” (Garton Ash 1999; Kundera 1984), აღმოსავლეთისგან გამიჯვნის მცდელობები, ევროპის ტელეოლოგიური ჰორიზონტის კვლავწარმოებას და ევროცენტრიზმისკენ გადახრის საფრთხეს ქმნის. მეცნიერთა დაკვირვებით, ისინი კი არ არღვევენ “ჩამორჩენილი აღმოსავლეთის” საზღვარს, არამედ უბრალოდ უფრო აღმოსავლეთისკენ სწევენ მას და ადგილმდებარეობას უცვლიან “სხვას” (Kuus 2004; Melegh 2006). ასევე, მნიშვნელოვანია ვიფიქროთ აღმოსავლეთზე - ჩრდილოეთისა და სამხრეთის მსგავსად - უპირველეს ყოვლისა, არა გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ როგორც ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ კატეგორიაზე, ისე, რომ მყარად მოსაზღვრულმა მსოფლიო რეგიონმა არ წარმოშვას მისი [აღმოსავლეთის] ჩამოშლის საფრთხე.

“აღმოსავლეთი”, რა თქმა უნდა, პოლისემიური, მოქნილი ტერმინია. მისი სხვადასხვა მნიშვნელობა მოიცავდა აღმოსავლეთ ევროპასა თუ რუსეთს, იაპონიასა თუ ჩინეთს და იმ ტერიტორიას, რასაც ზოგჯერ ახლო აღმოსავლეთსაც უწოდებენ, თურქეთის ჩათვლით (Goody 1996; Mahbubani 2008; Mignolo 2014b; Neumann 1999; Say 1978; Zarakol 2011). აღმოსავლეთის ერთ-ერთი მუდმივი მახასიათებელია ამგვარად განმტკიცებული დასავლეთისთვის “სხვისი” როლის შესრულება. ეს სტატია თავის არგუმენტს ავითარებს აღმოსავლეთის ამ მრავალგვარი გაგებიდან ერთ-ერთზე ფიქრით: იმ საზოგადოებებზე, რომლებმაც 1989 და 1992 წლებში სოციალიზმის ჩამოშლა დომინოს პრინციპით განიცადეს. მაგრამ თუ აღმოსავლურობა ნახევრად განსხვავებულობის დილემაა, ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ საზოგადოებებით. ეს ნამდვილად რელევანტური უნდა იყოს ყველასთვის, ვინც არც აქეთ არის და არც - იქით.

სწორედ ეს მოქნილობა მეტად სასარგებლოა იმ ტიპის კონცეპტისთვის, როგორიცაა გლობალური აღმოსავლეთი, რომელიც არათუ მკაფიო საზღვრებსა და უცვლელ ტერიტორიებს, არამედ ტოპოლოგიურ კავშირებსა და ბუნდოვან ზონებს გვთავაზობს. აღმოსავლეთი ყოველთვის სხვაგანაა: როდესაც ამ კითხვას საფრანგეთში ვსვამ, აღმოსავლეთი გერმანიაშია; როდესაც გერმანიაში ვკითხულობ - აღმოსავლეთ გერმანიაში; აღმოსავლეთ გერმანელებისთვის აღმოსავლეთი პოლონეთია; პოლონეთისთვის კი - უკრაინა… უწყვეტი გადანაცვლება (აღ)ნიშნულთა, რომლებიც აღმოსავლეთის აღმნიშვნელთან არიან დაკავშირებული. ამრიგად, “აღმოსავლეთი” შეგვიძლია ცარიელ აღმნიშვნელად მივიჩნიოთ, აღმნიშვნელად, რომელსაც ფიქსირებული აღსაღნიშნი არ გააჩნია. აღმნიშვნელი, რომელიც უფრო მეტს გვეუბნება იმ პირზე, ვინც მას იყენებს, ვიდრე ამგვარად აღნიშნულ ობიექტზე. მისი ეს მახასიათებელი სწორედ რომ შესაფერისია აღმოსავლეთის ხელახალი გადაწერის პოლიტიკური პროექტისთვის. ლაკლაუსთან (2005, თავ. 5) ცარიელი აღმნიშვნელები პოლიტიკური მოთხოვნების არტიკულირების საშუალებას გვაძლევენ, რადგან მათ

სხვადასხვანაირი მნიშვნელობების დატევა შეუძლიათ (ლაკლაუს სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი აკავშირებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს ეკვივალენტობის ჯაჭვში). იმის წყალობით, რომ თავად რაიმე ფიქსირებული მნიშვნელობა არ გააჩნიათ, ისინი საკუთარ თავს ანათხოვრებენ მნიშვნელობის შესაძენად.

სწორედ ეს მოქნილობა, ინკლუზიურობა და ფიქსირებულ ტერიტორიებს მიღმა მითითება აკლია ისეთ კონცეპტებს, როგორიცაა "ევრაზია", რომელიც მეტად პოპულარული გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმეტეს ნაწილში (კერძოდ, რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში) (Grant 2012; Hann et al. 2016). ევრაზია მეტად ტერიტორიული კონცეპტია და, ამასთანავე, თავისი პრობლემური მნიშვნელობით უკავშირდება ევრაზიანიზმის იდეოლოგიას, რომელიც ახლა რუსეთში აღორძინებას განიცდის (Suslov and Bassin 2016). ევრაზიანიზმმა რუსეთში არსებულ ნაციონალისტურ და ექსტრემისტულ ძალებს მორალური და ფსევდო მეცნიერული ლეგიტიმაცია მიანიჭა იმპერიის იდეოლოგიის გასაგრძელებლად. ლარუელი (2016, 136) ასე აჯამებს ამ პრობლემატურ თვალსაზრისს: "[ევრაზია] მოხერხებულად და საკმაოდ ინტუიციურად გამოხატავს რუსეთისა და მისი "პერიფერიების" ისტორიულ სივრცეს და გარკვეული სახის, სწრაფმავალ გეოპოლიტიკურ რეალობას. …ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბალტიისპირეთის სამეული და უკრაინა, შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მათი აკადემიური შესწავლა ისე ხდება, როგორც ევრაზიის ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილისა". სმიტმა და რიჩარდსონმა (2017, 4-5) ევრაზიას "მითი" უწოდეს: "სივრცეების შეუსაბამო არეულობა… ჩვენ აღმოვაჩენთ ევრაზიის უთვალავ სახეს… შეუსაბამობებითა და შეუთავსებლობებით განსაზღვრულს".

თუკი ჩვენ ამ პოლიფონიისა და შეუსაბამობის მტკიცებას ვეთანხმებით, მაშინ ალბათ უმჯობესია ვიფიქროთ აღმოსავლეთზე, როგორც სტრატეგიულ ესენციალიზმზე (Spivak 1988b): პოლიტიკურ პრაქტიკაზე ჰეტეროგენული, მარგინალიზებული ჯგუფების მობილიზებისთვის, რათა ერთი ლოზუნგით გაერთიანდნენ ემანსიპატორული პოლიტიკური პროექტისათვის. სხვადასხვა სახის სტრატეგიული ესენციალიზმი გარკვეული დროით ივიწყებს მათ შორის არსებულ განსხვავებებს, რათა შეძლოს პოლიტიკური მოთხოვნების ფორმულირება ჰეგემონურ დისკურსთან მიმართებაში. ამ კონტექსტში ბევრი რამ შეიძლება იყოს "პოლიტიკური": აღიარების უფლება, წარმოება იმისა, თუ რა ჩაითვლება ჭეშმარიტ ცოდნად, დისკრიმინაციისგან გათავისუფლება. საკუთარი მოთხოვნების გამოსახატად, ამ სახის სტრატეგიული ესნეციალიზმი მნიშვნელოვანი ტაქტიკა იყო ფემინიზმისთვის (Rose 1993), პოსტკოლონიალიზმისთვის (Spivak 1993) და გლობალური სამხრეთის გარშემო ბოლოდროინდელი გაერთიანებისათვის (Comaroff and Comaroff 2011; Parnell and Robinson 2012).

გლობალური სამხრეთის სტრატეგიული ესენციალიზმის შემთხვევა განსაკუთრებულად სამაგალითო და გასათვალისწინებელია, რადგან ისიც ასევე ეხება მარგინალიზებულ, მაგრამ უაღრესად ჰეტეროგენულ კატეგორიას და პატერნალისტური კონცეფციის აღდგენას ითვალისწინებს. სინამდვილეში, როდესაც 1970-იან წლების დებატებში ტერმინი "სამხრეთი" (მაშინ ჯერ კიდევ "გლობალურის" გარეშე) გამოჩნდა, ეს უხეიროდ შენიღბული ჩანაცვლება იყო "განვითარებადი ქვეყნებისა", რაც მიანიშნებდა

უთანასწორობის გამოსწორებისა და "ღარიბი სამხრეთის" გადარჩენის პატერნალისტურ პასუხისმგებლობაზე ჩრდილოეთის მხრიდან. ის უფრო რეგრესიული იყო, ვიდრე ტერმინი "მესამე მსოფლიო", რომელის სახელდებაც 1955 წლის ბანდუნგის კონფერენციაზე მოხდა და სამხრეთის საკუთრებაში მყოფი პოლიტიკური პროექტის სახე მიიღო (Dirlik 2007; Prashad 2013).

სამხრეთიდან თეორეტიზებისა და (ჩრდილოეთთან დაკავშირებული) მოდერნულობის საბოლოო მიზნის გაძევების ბოლოდროინდელმა მცდელობამ სამხრეთის მნიშვნელობა ხელახალი გადაწერა (Chakrabarty 2007; Comaroff and Comaroff 2011; Robinson 2006): სამხრეთს არა მხოლოდ შეუძლია საკუთრივ წარმოადგენდეს (და უნდა წარმოადგენდეს კიდეც) თეორეტიზების წყაროს, არამედ ეს თეორიული წარმოდგენები ჩრდილოეთის თეორეტიზებაზეც მეტყველებს.[7]

ეს არგუმენტი ალბათ ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ჯინ და ჯონ კომაროფებმა (2011), რომლებიც ჩრდილოეთში - თავისი მრავალწლიანი კრიზისებით, არასტაბილურობით და დაუცველობით, ქამრების შემოჭერის პოლიტიკით და სოციალური თუ ეთნიკური განხეთქილებებით - ხედავენ სამხრეთისკენ განვითარების ტენდენციას და, შესაბამისად, სამხრეთს განიხილავენ ამ ახალი მდგომარეობის თეორეტიზების წინამორბედად. "ჩრდილოეთის ეგრეთ წოდებული "ახალი ნორმა" სამხრეთის ბოლოდროინდელ წარსულს ასახავს" (Comaroff and Comaroff 2012, 123).[8] ჩრდილოეთი, რომელიც ცდილობს სამხრეთის დაეწიოს: რა საინტერესო გზაა სამყაროს თავდაყირა დასაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ კომაროფების არგუმენტი, ძირითადად, ნეოლიბერალიზმის დამღუპველ გლობალურ პრინციპს ეყრდნობა - პრინციპს, რომელიც ბოლოდროინდელი ნაციონალისტური ტენდენციების გათვალისწინებით სულ უფრო არამდგრადი ხდება - არგუმენტის ძირითადი აზრი გასაგებია: სამხრეთს რაღაც აქვს სათქმელი, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ჩრდილოეთისთვისაც.

სამხრეთის ბიძგი ემანსიპაციისკენ შესაძლოა სანიმუშო იყოს აღმოსავლეთისათვის და მისი პოლიტიკური მცდელობისათვის, მოახდინოს ცოდნის წარმოების დეკოლონიზება და დააბრუნოს საკუთარი თავი რუკაზე. თუმცა, რუკაზე დაბრუნება შეუძლებელია აღმოსავლეთის, როგორც გლობალური აღმოსავლეთის, მისი გლობალურის ნაწილად აღქმის გარეშე.

---

[7] ეს ასევე შეგვიძლია ვთქვათ "აზიურ საუკუნეში" აზიიდან თეორეტიზების ბოლო მცდელობების თაობაზე; მაგალითად, იხილეთ კუან-ჰსინგ ჩენის (2010) "აზია, როგორც მეთოდი" და კიშორე მაჰბუბანის (2008) "ახალი აზიის ნახევარსფერო".

[8] ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული განსხვავებების ხშირმა მოხმობამ არ უნდა უგულებელყოს ის, რომ ლიტერატურამ დაიწყო განხილვა იმ ურთიერთობების, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაყოფას და შლის საზღვრებს (მაგ. Caison and Vormann 2015; Roy and Crane 2015).

**გლობალური აღმოსავლეთი: თლილი ჭიქის კვალდაკვალ**

მოდით, შევეცადოთ და წარმოვიდგინოთ გლობალური აღმოსავლეთი, რომელიც არ არის მოწყვეტილი სამყაროდან, არ არის გაყინული დროსა და სივრცეში. მოდით, ვიფიქროთ გლობალური აღმოსავლეთის შესახებ თლილი ჭიქის (სურათი 1), IKEA-ს ძირითადი პროდუქტის მეშვეობით. თლილი ჭიქა მთელს მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. ის დგას პრეზიდენტებისა და სტუდენტების მაგიდებზე. მეც აქვე მიდგას, ჩემს მაგიდაზე. სანაძლეოს ჩამოვალ, თქვენც დაგილევიათ მსგავსი ჭიქიდან. ოფიციალური მაჩვენებლები არ არსებობს, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ადამიანების განჯინებზე შემთხვევითი დაკვირვების საფუძვეზე მგონია, რომ ჯამში რამდენიმე მილიარდი იქნება გაყიდული. რა გასაკვირია, რომ როდესაც ერთეულის ღირებულება 70 ცენტიც კი არაა, თლილი ჭიქის ფასები კონკურენტუნარიანია და გადაურჩა მისი განადგურების ნებისმიერ, განზრახ თუ უნებლიე მცდელობას. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ჩვენგანი მას IKEA-ს პროდუქტად თვლის, ეს აღმოსავლეთის მატერიალიზაციაა, რომელიც გლობალური მასშტაბით გავრცელდა. IKEA არ მალავს, რომ მის შთაგონება იყო საბჭოთა დიზაინის კლასიკა, ვერა მუხინას თლილი ჭიქა (гранёный стакан), რომელიც საბჭოთა მინის ჭურჭლის ნაკრების განუყოფელი ნაწილია სულ მცირე 1943 წლიდან (Idov 2011, 78).

სურათი 1. შეგიძლიათ იპოვოთ განსხვავება? საბჭოთა თლილი ჭიქა (гранёный стакан) (მარცხნივ) და IKEA-ს თანამედროვე რეინტერპრეტაცია - ვარდაგენი (მარჯვნივ)

შეიძლება ცდუნებამ გძლიოს და თლილი ჭიქა მიიჩნიო, როგორც "მომხმარებლური კულტურის ბანალური კოსმოპოლიტიზმის" კიდევ ერთი ამბავი (Featherstone 2006, 390) და გლობალური კორპორაციების ქურდობა ან მათი ვარიაციები ადგილობრივ ცოდნაზე. მაგრამ

ეს ამბავი ამაზე ბევრად მეტია. ჯერ ეს ერთი, საბჭოთა თლილ ჭიქას მანამდე ხვდა წილად პირველი წარმატება აღმოსავლეთში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველწლიურად ხუთას ან ექვსას მილიონ ჭიქას აწარმოებდნენ (Idov 2011, 80). ასე რომ, ჭიქა უნდა გავიგოთ, როგორც გლობალური სამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთში და მისგან გადაიღეს დასავლეთში. ეს წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს მსოფლიოს ჩვეული წესრიგიდან, სადაც დიზაინი გლობალური ჩრდილოეთის კრეატიული ცენტრების პრეროგატივაა, რასაც ასე კარგად ასახავს ფართოდ გავრცელებული წარწერა "ეფლის" პროდუქტებზე - "დიზაინი შექმნილია კალიფორნიაში, აწყობილია ჩინეთში".

მაგრამ თლილ ჭიქას წარმოების თავისი ისტორია აქვს. IKEA-ს მინის ნაწარმის უმეტესობა დამზადებულია გლობალურ აღმოსავლეთში. იაფი საშუალებები (ძირითადად ენერგია) და კომპეტენტურობა მინის წარმოებაში ნიშნავს კონკურენტული უპირატესობის ქონას. IKEA დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში აწარმოებდა თავის ყველაზე გაყიდვად მინის პროდუქტს, პოკალს (იხ. სურათი 2), სანამ ბულგარეთში არ გადაინაცვლა. სავარაუდოდ, ამის მიზეზი იყო ამ ქვეყნის ჯერ კიდევ დაბალი წარმოების ხარჯები, რასაც ემატებოდა ევროკავშირის წევრობა, რამაც ექსპორტი გაამარტივა.

თლილი ჭიქის ამბავი გლობალური აღმოსავლეთის შუალედური პოზიციის მსგავსია, ერთდროულად გლობალიზაციის ხელშემწყობისა და მიმღების. "დიზაინი შექმნილია გლობალურ აღმოსავლეთში, დამზადებულია გლობალურ აღმოსავლეთში" - ეს ფორმულა გამოხატავს გლობალური აღმოსავლეთის ორმხრივობას გლობალიზაციაში. მაგრამ ის ასევე გვარწმუნებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოსაზრებაში: რომ აღმოსავლეთი გლობალურ *ურთიერთობებშია* გახლართული. ის შეკავშირებულია სამყაროსთან, არ არის გამოცალკევებული. ეს თვალსაზრისი თითქოს აშკარაა, მაგრამ აღმოსავლეთი, როგორც ვნახეთ, ხშირად სრულიად საპირისპიროდ არის წარმოდგენილი: როგორც დროსა და სივრციდან ამოვარდნილი.

სურათი 2. დამზადებულია გლობალურ აღმოსავლეთში: IKEA-ს  სანიმუშო ჭიქა - პოკალი

გლობალური აღმოსავლეთის, როგორც ფარდობითი ცნების, აღქმა გულისხმობს აღმოსავლეთის ტოპოლოგიურ კონცეფციას (Shields 2012; აღმოსავლეთისთვის სპეციალურად იხილეთ Rogers 2010; Tuvikene 2016), რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ადგილი შეიძლება გახდეს აღმოსავლეთის ნაწილი, თუ ის შესაბამის ურთიერთკავშირებშია ჩაბმული. ჩემს მაგიდაზე IKEA-ს  ჭიქის მატერიალური არსებობა მაკავშირებს გლობალურ აღმოსავლეთთან; ისევე, როგორც გამოცემა "დამზადებულია რუსეთში", რომელიც მის გვერდით მიდევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალური აღმოსავლეთის გამოწვევა ტოპოლოგიური აღქმაა: ვიფიქროთ ურთიერთკავშირებზე, რომლებიც შორეულთან გვაახლოებენ და ერთმანეთს უკავშირებენ განყენებულ საკითხებს (Mol and Law 1994). გლობალური აღმოსავლეთი - როგორც ურთიერთკავშირი - შეიძლება ნებისმიერ ადგილას არსებობდეს. ამიტომაც, არასწორია კითხვის ასე დასმა - "სად არის გლობალური აღმოსავლეთი?", რადგან ეს ტერიტორიებზე მიგვითითებს. უმჯობესია, ვიკითხოთ - "რა არის გლობალური აღმოსავლეთი?", რაც ყურადღებას ურთიერთკავშირებზე გვიმახვილებს.

ასე რომ, აღმოსავლეთის ფარდობითი ცნების აზრი ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ ის არ უნდა შევზღუდოთ მხოლოდ ყოფილი მეორე სამყაროს ტერიტორიებით. როდესაც საბჭოთა მწერალი ილია ერენბურგი წერდა, რომ ბერლინი რუსული ქალაქების დედინაცვალია, ის აღმოსავლეთის ტრანს-ლოკალურ ურთიერთკავშირებზე მიანიშნებდა. ერენბურგი ერთ-ერთი იყო იმ ასეულობით ათასი რუსი ემიგრანტიდან, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სუროგატი (*Ersatz)* ბინა დაიდეს ბერლინში, კარლ შლიოგელის სიტყვებით, სუროგატ დედაქალაქში (*Ersatzhauptstadt*) (Schlögel 2007). თუმცა, ასი წლის წინანდელი ბერლინის შარლოტენგრადში დაბრუნება არ არის საჭირო იმისათვის, რომ ყველგან აღმოაჩინო გლობალური აღმოსავლეთი: ნიუ-იორკის პატარა ოდესასა (Miyares 1998), თუ კვიპროსის ლიმასოლის რუსულენოვან თემში, ლონდონის აღმოსავლეთ ევროპულ თემსა (Neumann 2015), თუ უკრაინის ტრანსნაციონალ ევანგელისტებში (Wanner 2007). მისი გამოვლინება ხდება სხვადასხვა სახით, იქნება ეს: შეერთებული შტატების არჩევნებში რუსეთის ჩარევა, მოლდოვადან სტამბოლში წინ და უკან მოსიარულე "მობილური დედები" (Keough 2016), ცენტრალურ აზიასა და სპარსეთის ყურეში ნავთობპროდუქტებით მდიდარ რეჟიმებს შორის არსებული კავშირები (Koch 2016), საქართველოს რესპუბლიკის, როგორც პოსტსაბჭოთა გარდაქმნების ფლაგმანის, გლობალური პოპულარიზაცია (Schueth 2011), თუ სამომხმარებლო პროდუქტების ისტორიები, როგორიცაა თლილი ჭიქის ამბავი.

გარკვეულწილად, აღმოსავლეთის ყველაზე საინტერესო მხარე შეიძლება იყოს არა მისი ცენტრი, არამედ მისი განვრცობა და სავაჭრო ზონები. ამ განვრცობებისთვის თვალის მიდევნება ქმნის ახალ გზებს ქვეყნების, ფენომენების და ადგილების შესადარებლად, რომელთაც ბევრი ზედმეტად განსხვავებულად ჩათვლიდა შედარებისთვის, მაგრამ შეიძლება, სწორედ ამ მიზეზით გამოააშკარაოს საინტერესო მოსაზრებები. შეერთებული შტატებისა და რუსეთის ნეო-გვაროვნული გარნიზონი-სახელმწიფოების, ტაშკენტისა და ბრაზილიის

განაშენიანებული მოდერნიზმის, უკრაინისა და ნიგერიის ევანგელისტების შედარებას მნიშვნელოვანი ეპისტემოლოგიური ფუნქცია აქვს: ის აღმოსავლეთს არ აფუძნებს, როგორც ფუნდამენტურად განსხვავებულს და მას იცავს "სხვად" ეგზოტიზაციისგან. ის ახდენს დასავლეთის და მისგან ნაწარმოები უნივერსალური ცოდნის პრეტენზიების დეცენტრალიზებას (Robinson 2016; Sidaway 2013).[9]

ურთიერთკავშირებზე აქცენტის დასმამ გამოავლინა გლობალური აღმოსავლეთის კონცეპტის ნათესაობა "რეგიონალური კვლევების" მესამე ტალღასთან, რომელიც დიდად არის განპირობებული გლობალიზაციის, კავშირებისა და მობილურობის პროცესებითა და სოციალური თუ კულტურული თეორიების ჩართულობით (Middell 2013; Mielke and Hornidge 2016; Sidaway et al. 2016). ეს მესამე ტალღა, როგორც თვითრეფლექსია, კრიტიკულად აფასებს აქამდე არსებულ ვარაუდებს სივრცეების მოსაზღვრეობისა და მათ შესახებ ცენტრიდან ნაწარმოები კოლონიური ცოდნის თაობაზე. გარდა ამისა, ის იღწვის გლობალური კავშირების ანალიზისა და ცოდნის წარმოების დეცენტრალიზაციისათვის. ის გადის სახიფათო გზას, ერთი მხრივ, გლობალური კვლევების სასარგებლოდ ლოკალიზებული კომპეტენტურობის დაუყოვნებლივ, სრულად უკუგდებასა (Koch 2016, 650) და, მეორე მხრივ, რეგიონების თვითმყოფად სუბიექტებად გარდაქმნას შორის (van Schendel 2002). გლობალური აღმოსავლეთისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ადგილებიდან მიღებული ცოდნა კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, მიუხედავად იმისა, მიეწერება თუ არა იგი კონკრეტულ რეგიონს, როგორც ეპისტემოლოგიურ ჩარჩოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ სად ხდება ესა თუ ის მოვლენა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. ადგილებმა შესაძლოა შექმნან პირობები (Affordance), მოქმედების სპეციფიკური შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება ან განხორციელდეს, ან არა. ჩარის (2016, 792) სიტყვებით, ჩვენ უნდა ჩავებათ "თანადროული ურთიერთკავშირებისა და ონტოლოგიური განსხვავების სამყაროს ყოფაში". ეს ითხოვს გლობალური აღმოსავლეთის განვითარებას ადგილის გლობალური მნიშვნელობით, რომელიც უნდა იყოს არა საკუთარ თავში ჩაკეტილი და თავდაცვითი, არამედ გარე სამყაროზე ორიენტირებული და ღია, საკუთარი სპეციფიკურობის დაკარგვის გარეშე (Massey 1991).

## დასკვნა: თეორეტიზება გლობალური აღმოსავლეთიდან

გლობალურ ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფილი სამყაროს წარმოდგენისას აღმოსავლეთი გაურკვეველ მდგომარეობაში ვარდება. მისი შუალედური პოზიცია - არც ისე მდიდარი, მაგრამ არც იმდენად ღარიბი; არა მხოლოდ კოლონია, მაგრამ არც მხოლოდ

[9] ბოლოდროინდელ ლიტერატურაში გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის შესახებ ხაზგასმულია ჩრდილოეთის ეს ტოპოლოგიური ურთიერთკავშირები სამხრეთში (მაგ. ჩაკეტილი სამეზობლოები) და სამხრეთისა - ჩრდილოეთში (მაგ. სიღარიბე) (მაგ. Miraftab 2009; Roy and Crane 2015).

კოლონიზატორი - ართულებს მის კატეგორიზებას. იზოლირებულად და ჩამორჩენილად აღქმულ აღმოსავლეთს სამეცნიერო ცოდნა და საზოგადოებრივი დისკურსი ხშირად წარმოაჩენდა, როგორც შორეულსა და გამიჯნულს სამყაროსგან, რომელშიც მას განსაკუთრებული წვლილის შეტანა არ შეეძლო.

ეს სტატია ასაბუთებს თუ რატომ უნდა განვიხილოთ აღმოსავლეთი, როგორც გლობალური ფენომენი: რათა აღვადგინოთ მისი ადგილი მსოფლიოში *და* დავუბრუნოთ მას ხმა. ეს გულისხმობს აღმოსავლეთის, როგორც სტრატეგიული ესენციალიზმის აღქმას, რაც საშუალებას გვაძლევს ხელახლა დავაფუძნოთ ის, როგორც სამეცნიერო ცოდნის მართებული ინტერესის საგანი და შევძინოთ მას ახალი მნიშვნელობა. აღმოსავლეთი, როგორც გლობალური აღმოსავლეთი, ნიშნავს მის მოთავსებას სწორედ მსოფლიოს შუაგულში. თუ ჩვენ ვხედავთ გლობალურ აღმოსავლეთს, როგორც სხვა მრავალ ადგილთან დაკავშირებულს, უფრო რთული ხდება თეორეტიზებისას მისი უბრალო მაყურებლის როლში დატოვება. სწორედ იმის გამო, რომ ის არ წარმოადგენს არც ჩრდილოეთსა და არც სამხრეთს, ის გვეხმარება, გლობალურზე ფიქრის დროს თავიდან ავიცილოთ ჰემისფერული ბინარულობა - მდიდარი და ღარიბი, ძლიერი და უძლური. გლობალურ შედარებით კვლევაში ჩართვა იცავს აღმოსავლეთს იზოლაციისგან, რამდენადაც სხვაგან არსებულ მსგავს დებატებში გასათვალისწინებელია მისი მრავალმხრივი გამოცდილებები, როგორიცაა იმპერიული მმართველობა, გლობალიზაცია, ნეოლიბერალური რეფორმა, ნაციონალისტური პოპულიზმი, პოლიტიკური წინააღმდეგობა თუ ასიმეტრიული ომები.

გლობალური აღმოსავლეთის გადააზრება პოლიტიკური პროექტიცაა. ის ეწინააღმდეგება ჩრდილოეთში აღმოსავლეთის „ნახევრად სხვად“ წარმოდგენას და სამხრეთში აღმოსავლეთის შესახებ დუმილს, რითაც ცდილობს აღმოსავლელი ხალხის გამოცდილების დაფასებასა და ევროცენტრიზმის გაძევებას. გარდა ამისა, ეს პოლიტიკური პროექტი აფუძნებს აღმოსავლეთს, არა როგორც იზოლირებულს, არამედ ღია, კავშირში მყოფ ადგილს. ვხედავთ რა, ნაციონალისტური პოპულიზმის აღზევებას ჩრდილოეთში, სამხრეთსა და აღმოსავლეთში, რაც ხელს უწყობს ქვეყნების იზოლირებას და არა - მათ შორის საკავშირო ხიდების გადებას, ღიაობის პრეტენზია მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადება ხდება. ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში - ლიბერალური დემოკრატიის გულში - არსებული არეულობის პირობებში, ეს პოლიტიკური პროექტი შესაძლოა წარმოიშვას ხელსაყრელ დროს, როდესაც ჩრდილოეთს, სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული განსხვავებები სულ უფრო ბუნდოვანი ხდება და დამკვიდრებული იერარქიები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტატია გლობალური აღმოსავლეთის თეორეტიზებას მეორე სამყაროს ყოფილი სოციალისტური საზოგადოებების გადმოსახედიდან ახდენდა, აღმოსავლურობის მდგომარეობა – „ნახევრად სხვადყოფნა“, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორისაა გამოკიდებული - ბევრად უფრო ყოვლისმომცველია. სამხრეთ კორეაზე, თურქეთსა ან ავბედით ახლო აღმოსავლეთზე რას იტყვით? აღმოსავლეთის მეშვეობით ფიქრი ნიშნავს ჰემისფერული, ჩრდილოეთ-სამხრეთად დაყოფის შედეგად მიღებული დუმილის გამომჟღავნებას, მუშაობას არა იმდენად განაპირა, არამედ მათ შორის არსებული შუალედური

სივრციდან. ჩანაფიქრი ის კი არაა, რომ კიდევ ერთი ბინარული დაყოფა - დასავლეთი-აღმოსავლეთი - აღდგეს, არამედ ბინარული გეოპოლიტიკური წარმოსახვის დესტაბილიზაცია მოხდეს *მესამე წევრის* (*tertium quid)* შემოღებით.

გლობალური აღმოსავლეთის, როგორც *მესამე წევრის* (*tertium quid),* გამოყენებისას კარგი იქნებოდა მისი გარდამავალი პოზიციითაც გვესარგებლა, მისი „ნახევრად სხვაობით". ტრადიციულად თუ მივუდგებოდით, ეს შუალედური პოზიცია წარმოგვიდგებოდა, როგორც თავიდან მოსაშორებული ან ტრანზიციული მდგომარეობა პერიფერიიდან ცენტრისაკენ გადასანაცვლებლად. მაგრამ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ ეს გარდამავალი მდგომარეობა სიძლიერედ? რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის რესურსი, რომელსაც ის გვთავაზობს გაურკვევლობების, არაპროგნოზირებადი და იმპროვიზაციული ტაქტიკების მოსაგვარებლად? ასეთ შემთხვევაში, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ფიქრი ნიშნავს გაურკვევლობასა და ეფემერულობაზე ფიქრს არა მხოლოდ აღმოსავლეთისთვის, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთისთვისაც.

ამ გზით, მისი გარდამავალი პოზიციით სარგებლობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს გლობალური აღმოსავლეთის ჩართულობას ცოდნის გეოპოლიტიკის გარშემო გაჩაღებულ მრავალმხრივ დებატებში (Mignolo 2002) - „რეგიონალური კვლევების" მესამე ტალღაში, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს წარმომადგენლობით პოლიტიკას, წინა პლანზე აყენებს ტრანსნაციონალურ კავშირებსა (Sidaway et al. 2016) და სამხრეთიდან თეორეტიზაციას (Connell 2007). მეორე მხრივ კი, გარდამავალი პოზიცია  გვთავაზობს გემო გავუგოთ იმას, თუ რას ნიშნავს აზროვნება აღმოსავლეთის მეშვეობით იმ პარადოქსებისა და გაურკვევლობების კონცეპტუალიზაციისთვის, რომლებიც დამახასიათებელია გლობალიზებული საზოგადოებებისთვის და რამაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში სამეცნიერო ცოდნაში ამხელა ინტერესი გამოიწვია (Bauman 2006; Prigogine 1996; Žižek 2011).

შესაბამისად,  გლობალური აღმოსავლეთის *შესახებ* თეორეტიზება საკმარისი ვერ იქნება. გლობალური აღმოსავლეთის ხელახალი გადაწერა ვერ მოხდება აღმოსავლეთის შესახებ ნაწარმოები ცოდნის აღმოსავლეთისავე ხელში გადმონაცვლების  გარეშე. ამისათვის ჩვენ აღმოსავლეთი „რეგიონული კვლევების" შესწავლის ობიექტიდან სუბიექტად ანდა სულაც მეთოდად უნდა ვაქციოთ - „ცოდნის წარმოების გარდაქმნის საშუალებად" (Chen 2010, 216). მნიშვნელოვანია, თუ საიდან ხდება ეს ხელახალი გადაწერა. გლობალური აღმოსავლეთიდან სამეცნიერო ცოდნის ბოლოდროინდელი მოზღვავება ეჭვს არ ტოვებს, დადგა დრო იმისა, რომ თეორეტიზება არა მხოლოდ გლობალური აღმოსავლეთის შესახებ, არამედ გლობალური აღმოსავლეთის მეშვეობით მოხდეს.

**მადლობის მაგიერ**

ეს სტატია ტეტრალოგიის მეორე ნაწილია. სხვა სტატიებია - "მშვიდობით, პოსტსოციალიზმო!" (Müller 2019), "თეორეტიზაცია გლობალური აღმოსავლეთის მეშვეობით" და "რამდენად გლობალურია გლობალური ურბანიზმი? როგორ ვახდენდით თეორეტიზაციას

სამხრეთიდან, მაგრამ დავივიწყეთ აღმოსავლეთი". ეს სტატია მეტად დავალებულია იმ დაინტერესებული მსმენელებისგან, რომელთაც ჩემი მოხსენება მოისმინეს: 2016 წლის სექტემბერში ველკა ლომნიცაში, 2016 წლის ნოემბერში ლაიპციგში, 2017 წლის აპრილში ბოსტონში, 2017 წლის აგვისტოში ეკატერინბუგსა და მიუნსტერში (ვალე), 2017 წლის სექტემბერში კიევში და 2018 წლის თებერვალში ციურიხში. მადლობას ვუხდი ელენა ტრუბინასა და კაროლინ შურს კრიტიკული კომენტარებისთვის და "გეოპოლიტიკის" რეცენზენტებსა და რედაქტორებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ ნაშრომის მომზადებას.

## ბიბლიოგრაფია

Babones, S., and P. Babcicky. 2011. Russia and Eastern Europe in the modern world-system: A structuralist perspective. Proceedings of the 10th Biennial Conference of the Australasian Association for Communist and Post-Communist Studies, 1–20. https://ses.library.usyd.edu.au/bitstream/2123/8065/2/Russia-and-East-Central-Europe-in-the-modern-world-system.pdf.

Bauman, Z. 2006. Liquid times: Living in an age of uncertainty. Cambridge: Polity.

Bhabha, H. K. 1994. The location of culture. London: Routledge.

Boycko, M., A. Shleifer, and R. Vishny. 1995. Privatizing Russia. Cambridge: MIT Press.

Bradbury, M. 1986. Why come to Slaka? London: Martin Secker & Warburg.

Bradshaw, M. 2001. The post-socialist states in the world economy: Transformation trajectories. Geopolitics 6(1):27–46. doi:10.1080/14650040108407705.

Braveboy-Wagner, J. A. 2009. Institutions of the Global South. London: Routledge.

Buchowski, M. 2004. Hierarchies of knowledge in Central-Eastern European Anthropology. Anthropology of East Europe Review 22(2):5–14.

Caison, G., and B. Vormann. 2015. The logics and logistics of urban progress: Contradictions and conceptual challenges of the Global North-South divide. The Global South 8(2):65–83. doi:10.2979/globalsouth.8.2.65.

Červinková, H. 2012. Postcolonialism, postsocialism and the anthropology of East-Central Europe. Journal of Postcolonial Writing 48(2):155–63. doi:10.1080/17449855.2012.658246.

Chakrabarty, D. 2007. Provincializing Europe: Postcolonial thought and historical difference. 2nd ed. Princeton: Princeton University Press.

Chari, S. 2016. Trans-area studies and the Perils of Geographical 'world-Writing'. Environment and Planning D: Society and Space 34(5):791–98. doi:10.1177/0263775816656522.

Chari, S., and K. Verdery. 2009. Thinking between the posts: Postcolonialism, postsocialism, and ethnography after the Cold War. Comparative Studies in Society and History 51(1):6–34. doi:10.1017/S0010417509000024.

Chen, K.-H. 2010. Asia as method: Toward deimperialization. Durham: Duke University Press.
Cilauro, S., T. Gleisner, and R. Sitch. 2004. Molvanîa: A land untouched by modern dentistry. Woodstock: The Overlook Press.
Comaroff, J., and J. L. Comaroff. 2012. Theory from the South: Or, how euro-America is evolving toward Africa. Anthropological Forum 22(2):113–31. doi:10.1080/00664677.2012.694169.
Comaroff, J. L., and J. Comaroff. 2011. Theory from the South or, How Euro-America is evolving toward Africa. Boulder: Paradigm.
Connell, R. W. 2007. Southern theory: Social science and the global dynamics of knowledge. Cambridge: Polity.
Dirlik, A. 2007. Global South: Predicament and promise. The Global South 1(1):12–23. doi:10.2979/gso.2007.1.1.12.
Europe-Asia Studies. 2018. Europe-Asia Studies. March 14. https://www.tandfonline.com/action/journalInformation?show=aimsScope&journalCode=ceas20.
Fanon, F. 1952. Peau noire, masques blancs. Paris: Éditions du Seuil.
Fanon, F. 2008. Black Skin, White Masks. Translated by Constance Farrington. London: Pluto Press.
Featherstone, M. 2006. Genealogies of the Global. Theory, Culture & Society 23(2–3):387–92. doi:10.1177/0263276406062704.
Fukuyama, F. 1992. The end of history and the last man. New York: Free Press.
Funk, D. A. 2017. И Вновь О ‘качественных Журналах’ и Национальных Рейтингах (One More Word about ‘good Journals’ and National Rankings). Sibirskie Istoricheskie Issledovaniya 1 (March):6–11. doi:10.17223/2312461X/15/1.
Garton Ash, T. 1999. The puzzle of Central Europe. The New York Review of Books, March 18. http://www.nybooks.com/articles/1999/03/18/the-puzzle-of-central-europe/.
Gille, Z. 2016. Paprika, foie gras, and red mud: The politics of materiality in the European Union. Bloomington: Indiana University Press.
Goody, J. 1996. The East in the West. Cambridge: Cambridge University Press.
Grant, B. 2012. We are all Eurasian. Newsnet 52(1):1–6.
Hann, C., ed. 2001. Postsocialism: Ideals, ideologies and practices in Eurasia. London: Routledge.
Hann, C., M. Benovska-Sabkova, A. Bošković, T. H. Eriksen, D. N. Gellner, A. Gingrich, N. Kradin, J. de Pina-Cabral, G. Lins Ribeiro, D. Rogers, G. Schlee, P. Skalník, and D. Wengrow. 2016. A concept of Eurasia. Current Anthropology 57 (1):1–27. doi:10.1086/684625.
Hann, C., C. Humphrey, and K. Verdery. 2002. Introduction: Postsocialism as a topic of anthropological investigation. In Postsocialism: Ideals, ideologies and practices in Eurasia, ed. Chris Hann, 1–28. Abingdon: Routledge.
Horvat, S., and I. Štiks. 2012. Welcome to the desert of transition! Post-Socialism, the European Union, and a New Left in the Balkans. Monthly Review (blog), March 1. https://monthlyreview.org/2012/03/01/welcome-to-the-desert-of-transition/.

Idov, M. 2011. Made in Russia: Unsung icons of soviet design. New York: Rizzoli.
Karkov, N. 2015. Decolonizing Praxis in Eastern Europe: Toward a South-to-South dialogue. Comparative and Continental Philosophy 7(2):180–200. doi:10.1179/1757063815Z.00000000061.
Keough, L. J. 2016. Worker-mothers on the margins of Europe: Gender and migration between Moldova and Istanbul. Bloomington: Indiana University Press.
Knox, P., J. Agnew, and L. McCarthy. 2014. The Geography of the World Economy. 6th ed. Abingdon: Routledge.
Knudsen, I. H., and M. D. Frederiksen, eds. 2015. Ethnographies of grey zones in Eastern Europe: Relations, borders and invisibilities. London: Anthem.
Koch, N. 2016. Is a 'critical' area studies possible? Environment and Planning D: Society and Space 34(5):807–14. doi:10.1177/0263775816656524.
Kovačević, N. 2008. Narrating post/communism: Colonial discourse and Europe's borderline civilization. London: Routledge.
Kundera, M. 1984. The tragedy of Central Europe. New York Review of Books, April 26.
Kuus, M. 2004. Europe's Eastern expansion and the reinscription of otherness in East-Central Europe. Progress in Human Geography 28(4):472–89. doi:10.1191/0309132504ph498oa.
Kuus, M. 2007. Something old, something new: Eastness in European Union enlargement. Journal of International Relations and Development 10(2):150–67. doi:10.1057/palgrave.jird.1800121.
Kuus, M. 2014. Geopolitics and expertise: Knowledge and authority in European diplomacy. Oxford: Wiley-Blackwell.
Laclau, E. 2005. On populist reason. London: Verso.
Laruelle, M. 2016. The notion of Eurasia: A spatial, historical and political construct. In Questioning post-Soviet, eds. Edward C. Holland and Matthew Derrick, 127–42. Washington, D.C.: Wilson Center.
Mahbubani, K. 2008. The New Asian hemisphere: The irresistible shift of Global power to the East. New York: Public Affairs.
Massey, D. 1991. A global sense of place. Marxism Today, June 24–29.
Mbembe, A. 2000. De la postcolonie. Essai sur l'imagination politique dans l'Afrique contemporaine. Paris: Karthala.
Melegh, A. 2006. On the East-West slope: Globalization, nationalism, racism and discourses on Eastern Europe. Budapest: Central European University Press.
Middell, M., ed. 2013. Self-reflexive area studies. Leipzig: Leipziger Universitätsverlag.
Mielke, K., and A.-K. Hornidge, eds. 2016. Area studies at the crossroads: knowledge production after the mobility turn. Basingstoke: Palgrave Macmillan.
Mignolo, W. D. 2002. The geopolitics of knowledge and the colonial difference. South Atlantic Quarterly 101(1):57–96. doi:10.1215/00382876-101-1-57.
Mignolo, W. D. 2011. The Global South and world dis/order. Journal of Anthropological Research 67(2):165–88. doi:10.3998/jar.0521004.0067.202.
Mignolo, W. D. 2014a. The North of the South and the West of the East: A provocation to the question. IBRAAZ 8: not paginated.
Mignolo, W. D. 2014b. Spirit out of bounds returns to the East: The closing of the social

sciences and the opening of independent thoughts. Current Sociology 62(4):584–602. doi:10.1177/0011392114524513.
Mikanowski, J. 2017. Goodbye, Eastern Europe! Los Angeles Review of Books, January 27. https://lareviewofbooks.org/article/goodbye-eastern-europe/.
Miraftab, F. 2009. Insurgent planning: Situating radical planning in the Global South. Planning Theory 8(1):32–50. doi:10.1177/1473095208099297.
Miyares, I. M. 1998. 'Little Odessa' - Brighton Beach, Brooklyn: An examination of the former soviet refugee economy in New York City. Urban Geography 19(6):518–30. doi:10.2747/0272-3638.19.6.518.
Mol, A., and J. Law. 1994. Regions, networks and fluids: Anaemia and social topology. Social Studies of Science 24(4):641–71. doi:10.1177/030631279402400402.
Müller, M. 2019. Goodbye Postsocialism! Europe-Asia Studies. in press. Retrieved from https://ssrn.com/abstract=3151362.
Neumann, I. B. 1999. Uses of the other: "The East" in European identity formation. Minneapolis: University of Minnesota Press.
Neumann, I. B. 2015. Authoritarian East. Global Affairs 1(1):93–94. doi:10.1080/23340460.2014.960190.
Nowicka, M. 2017. 'I Don't Mean to Sound Racist but . . . ' Transforming racism in transnational Europe. Ethnic and Racial Studies 41(5):824–41. doi:10.1080/01419870.2017.1302093.
Outhwaite, W., and L. Ray. 2005. Social theory and postcommunism. Oxford: Wiley.
Parnell, S., and S. Oldfield, eds. 2014. The Routledge handbook on cities of the Global South. London: Routledge.
Parnell, S., and J. Robinson. 2012. (Re)theorizing cities from the Global South: Looking beyond neoliberalism. Urban Geography 33(4):593–617. doi:10.2747/0272-3638.33.4.593.
Prashad, V. 2013. The poorer nations: A possible history of the Global South. London: Verso.
Prigogine, I. 1996. La fin des certitudes. Paris: Odile Jacob.
Reuveny, R. X., and W. R. Thompson. 2007. The North–South divide and international studies: A symposium. International Studies Review 9(4):556–64. doi:10.1111/j.1468-2486.2007.00722.x.
Rigg, J. 2007. An everyday geography of the Global South. London: Routledge.
Robinson, J. 2006. Ordinary cities: Between modernity and development. London: Routledge.
Robinson, J. 2016. Starting from anywhere, making connections: Globalizing Urban theory. Eurasian Geography and Economics 57(4–5):643–57. doi:10.1080/15387216.2016.1271617.
Rogers, D. 2010. Postsocialisms unbound: Connections, critiques, comparisons. Slavic Review 69(1):1–15. doi:10.1017/s0037677900016673.
Rose, G. 1993. Feminism and geography: The limits of geographical knowledge. Minneapolis: University of Minnesota Press.
Roy, A. 2009. The 21st-century metropolis: New geographies of theory. Regional Studies 43 (6):819–30. doi:10.1080/00343400701809665.
Roy, A., and E. S. Crane. 2015. Territories of poverty: Rethinking North and South. Athens: University of Georgia Press.
Said, E. W. 1978. Orientalism. London: Penguin.

Schlögel, K. 2007. Das russische Berlin: Ostbahnhof Europas. München: Pantheon.
Schueth, S. 2011. Assembling international competitiveness: The Republic of Georgia, USAID, and the doing business project. Economic Geography 87(1):51–77. doi:10.1111/j.1944-8287.2010.01103.x.
Sgibnev, W. 2015. Remont: housing adaptation as meaningful practice of space production in post-Soviet Tajikistan. Europa Regional 22(1–2):53–64.
Shields, R. 2012. Cultural topology: The Seven Bridges of Königsberg, 1736. Theory, Culture & Society 29(4–5):43–57. doi:10.1177/0263276412451161.

Sidaway, J. D. 2013. Geography, globalization, and the problematic of area studies. Annals of the Association of American Geographers 103(4):984–1002. doi:10.1080/00045608.2012.660397.
Sidaway, J. D., E. L. E. Ho, J. D. Rigg, and C. Y. Woon. 2016. Area studies and geography: Trajectories and manifesto. Environment and Planning D: Society and Space 34(5):777–90. doi:10.1177/0263775816656520.
Smith, J., and P. Richardson. 2017. The Myth of Eurasia—A Mess of Regions. Journal of Borderlands Studies 32(1):1–6. doi:10.1080/08865655.2016.1266276.
Spivak, G. C. 1988a. Can the Subaltern Speak? In Marxism and the interpretation of culture, eds. Carl Nelson and Lawrence Grossberg, 271–313. Chicago: University of Illinois Press.
Spivak, G. C. 1988b. Subaltern studies: Deconstructing historiography. In Selected subaltern studies, eds. Ranajit Guha and Gayatri Chakravorty Spivak, 3–32. Oxford: Oxford University Press.
Spivak, G. C. 1993. Outside in the teaching machine. London: Routledge.
Suslov, M., and M. Bassin, eds. 2016. Eurasia 2.0: Russian geopolitics in the age of new media. Lanham: Lexington Books.
Timár, J. 2004. More than `Anglo-American', It is `Western': Hegemony in geography from a Hungarian perspective. Geoforum 35(5):533–38. doi:10.1016/j.geoforum.2004.01.010.
Tlostanova, M. 2008. The janus-faced empire distorting orientalist discourses: Gender, race and religion in the Russian/(Post) Soviet constructions of the "Orient". Worlds and Knowledges Otherwise 2(2):1–11.
Tlostanova, M. 2011. The south of the poor north: Caucasus subjectivity and the complex of secondary 'Australism'. The Global South 5(1):66–84. doi:10.2979/globalsouth.5.1.66.
Tlostanova, M. 2015a. Can the post-Soviet think? Intersections. East European Journal of Society and Politics 1(2):38–58.
Tlostanova, M. 2015b. Between the Russian/Soviet dependencies, neoliberal delusions, dewesternizing options, and decolonial drives. Cultural Dynamics 27(2):267–83. doi:10.1177/0921374015585230.
Tlostanova, M. 2017. Postcolonialism and postsocialism in fiction and art. New York: Palgrave Macmillan.
Todorova, M. 1997. Imagining the Balkans. Oxford: Oxford University Press.
Tuvikene, T. 2016. Strategies for comparative urbanism: Post-Socialism as a De-Territorialized concept. International Journal of Urban and Regional Research 40(1):132–

46. doi:10.1111/1468-2427.12333.
Ushkalov, I., and I. Malakha. 2010. Utechka umov. Moscow: Librokom.
van Schendel, W. 2002. Geographies of knowing, geographies of ignorance: Jumping scale in Southeast Asia. Environment and Planning D: Society and Space 20(6):647–68. doi:10.1068/d16s.
Wallerstein, I. 1976. Semi-peripheral countries and the contemporary world crisis. Theory and Society 3 (4):461–83. doi:10.1007/BF00161293.
Wallerstein, I. 1979. The capitalist world economy. Cambridge: Cambridge University Press.
Wanner, C. 2007. Communities of the converted: Ukrainians and Global Evangelism. Culture and Society after Socialism. Ithaca, NY: Cornell University Press.
Wolff, L. 1994. Inventing Eastern Europe: The map of civilization on the mind of the enlightenment. Stanford: Stanford University Press.
Zarakol, A. 2011. After defeat: How the East learned to live with the West. Cambridge: Cambridge University Press.
Zarycki, T. 2014. Ideologies of Eastness in Central and Eastern Europe. London: Routledge.
Žižek, S. 2011. Living in the end times. London: Verso